

ქ. თბილისი

10.11.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

*საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:*

კახი ყურაშვილი - შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ლალი დოდელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი (სხდომის მდივანი);

დავით კახიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი.

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:*

ნანა ჭილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლაშა მარგიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ფურცხვანიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ნინო ბეგიაშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ანა ბუჩუკური - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

*ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:*

1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვიცეკანცლერი;
2. რესულ დიქმენი - შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერი;
3. ილია იაკობაშვილი - შპს - "ორიენტირი +" -ის დირექტორი;
4. თეონა ყუბარაძე - შპს - "ორიენტირი +" -ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
5. ილია არობელიძე - შპს - "ლაზარე +" -ის დირექტორი;
6. ჯულიეტა ლაზარიაშვილი - შპს - "ლაზარე +" -ის ფინანსური მენეჯერი;
7. ავთანდილ კიკნაძე - შპს - "თავისუფალი სკოლის" დამფუძნებელი, დირექტორი;



8. ნაწული წერეთელი - ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის დირექტორი;
9. მადლენა მახარაძე - შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია "იბერიას" დირექტორი;
10. ზურაბ ბიწაძე - შპს - სამეცნიერო-საწარმოო ფირმა "ალმასის" დირექტორი;
11. მანანა სანაძე - შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლის დირექტორი;
12. ნატა სტურუა - შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლის იურისტი;
13. ეკატერინე მაისურაძე - შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
14. ირაკლი ნარმანია - შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი - მრჩეველი.

**ავტორიზაციის ექსპერტები:**

- თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ნინო ფეტვიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ნინო ჟვანია - ავტორიზაციის ექსპერტი;
- რეზო ნინუა - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ნათია ქაჯაია - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ნინო ბალანჩივაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ქეთევან ინანაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ქეთევან ბოტკოველი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- იანინა გიგბერია - ავტორიზაციის ექსპერტი;
- თამარ გვიანიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:40 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

1. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს - „ორიენტირი“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - „ლაზარე“-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - „თავისუფალი სკოლის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია „იბერიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „ალმასის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა. საბჭოს წევრებსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონიათ. სხდომის თავმჯდომარემ დაამტკიცა დღის წესრიგი.

## 1. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - საგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც საბჭოს განუცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა. მან საბჭოს მოახსენა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი იჯარის ხელშეკრულებით ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ-ის №2-ში ფლობს 7987 კვ.მ. ფართს. უნივერსიტეტის მფლობელობაშია სასწავლო და სამეცნიერო პროცესისათვის განკუთვნილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, საჯარო ლექციებისა და საკონფერენციო დარბაზები. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს და იძლევა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

უნივერსიტეტი ახორციელებს 12 საბაკალავრო, 10 სამაგისტრო და 6 სადოქტორო და მასწავლებელთა მოსამზადებელ საგანმანათლებლო პროგრამას.

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი შეადგენს 20204 ერთეულს, რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას. წიგნადი ფონდის საკუთრებაში ფლობა დასტურდება ნასყიდობისა და ჩუქების ხელშეკრულებებით და სასაქონლო ზედნადებებით.

უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვას. სტუდენტების და აკადემიური პერსონალისათვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის 254 კომპიუტერი.

დაწესებულების აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალი არჩეულია უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობაა 48, აქედან: სრული პროფესორი - 15; ასოცირებული პროფესორი - 32; ასისტენტ-პროფესორი - 1.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა რაოდენობის 2500-ით განსაზღვრის შესახებ.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 2500 სტუდენტი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2500-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 33<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2500-ით.

## **2. შპს - "ორიენტირი +" - ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 100-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ნანა ჭილაძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთა მიღებას. ნანა ჭილაძემ, აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია, 99 პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - "ორიენტირი +" - ის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - "ორიენტირი +" - ის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 99-ით განსაზღვრის საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - "ორიენტირი+"-ს მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 99-ით.

### 3. შპს - „ლაზარე +“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 არცერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის მითითებული სწავლები ს ხანგრძლივობა.

1.2 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ შეესაბამება სტანდარტში მითითებულ კვალიფიკაციას. კერძოდ, სტანდარტის მიხედვით უნდა იყოს - ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კი ანიჭებს - ინფორმაციული ტექნოლოგიის პროფესიულ კვალიფიკაციას.

1.3 კბილის ტექნიკოსის პირველი საფეხურის პროგრამა მოიცავს 31 კრედიტს (775 საათს). პროგრამის მიხედვით, 31 კრედიტიდან 60% ეთმობა პრაქტიკის კომპონენტს. სასწავლო გეგმის მიხედვით კი სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას ეთმობა 455 საათი (58%). (შესაბამისად, უნდა იყოს 465 საათი).

1.4 კბილის ტექნიკოსის მე-2 საფეხურის პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს (750 საათს). პროგრამის მიხედვით, 30 კრედიტიდან 60% ეთმობა პრაქტიკის კომპონენტს. სასწავლო გეგმის მიხედვით სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას ეთმობა 444 საათი (58%). (შესაბამისად, უნდა იყოს 450 საათი).

1.5 კბილის ტექნიკოსის პირველი და მეორე საფეხურის ქიმიის სილაბუსებში მოცემული შედეგები და მიზნები იდენტურია.

კბილის ტექნიკოსის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი საგნების სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა მოიცავს დამოუკიდებელი მუშაობის საათებსაც, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121 ბრძანებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“.

1.6 კბილის ტექნიკოსის მე -2 საფეხურის სასწავლო -საწარმოო პრაქტიკა „მოუხსნელ პროტეზებში“ ითვალისწინებს 130 საათს, რომლიდანაც 5 საათი განკუთვნილია დამოუკიდებელი მუშაობისთვის. იგივე ხარვეზია დაშვებული „ბიუჯელისებრ პროტეზების“ სასწავლო კურსში, რომელიც სასწავლო-საწარმოო პრაქტიკისთვის ითვალისწინებს – 139 საათს და დამოუკიდებელი მუშაობისათვის - 15 საათს.

1.7 კბილის ტექნიკოსის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსში - „მოუხსნელი პროტეზები“ - სასწავლო და საწარმოო პრაქტიკისთვის გათვალისწინებულია 100 საათი, საიდანაც 10 არის დამოუკიდებელი მუშაობის საათი.

1.8 კბილის ტექნიკოსის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსში - „ება-სახის პროტეზები“ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა მოიცავს 130 საათს, აქედან 10 - განეკუთვნება დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

1.9 კბილის ტექნიკოსის მე-3 საფეხურის პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული საგნის - „პრაქტიკები სპეციალობის წინა საგამოცდო პერიოდში“ (3 კრედიტი) სილაბუსი არ იყო წარმოდგენილი.

1.10 ექთნის თანაშემწის მე-3 საფეხურის პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს (1500 საათს). სასწავლო გეგმაში მითითებულია 1525 საათი. პროგრამის მიხედვით 60 კრედიტიდან 60% ეთმობა პრაქტიკის კომპონენტს. სასწავლო გეგმის მიხედვით კი სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას ეთმობა 896 საათი (57%) (შესაბამისად, უნდა იყოს 900 საათი).

1.11 ექთნის თანაშემწის მეორე და მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ერთმანეთის იდენტურია.

1.12 ექთნის თანაშემწის მეორე და მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსები ისეა შერჩეული, რომ რთულია იმის დადგენა, თუ როგორ უზრუნველყოფენ სტანდარტით დადგენილ მოთხოვნების მიღწევას. კერძოდ, არ ისწავლება ის კურსები, რომლებიც დააკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნას, მაგალითად: „ასაკობრივი განვითარების თავისებურებანი“ (ასაკობრივი, მენტალური, კოგნიტური, რელიგიური, სოციალური, ფსიქოლოგიური და ა.შ.), ასევე კურსი, რომელიც დააკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგს - შინაგანაწესის, ხელშეკრულებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის წაკითხვასა და გააზრებას.

1.13 ექთნის თანაშემწის მე-3 საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე არ ისწავლება უცხო ენა და მათემატიკა, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება შესაბამისი პროგრამის პროფესიულ სტანდარტს.

1.14 ექთნის თანაშემწის მე -3 საფეხურის სასწავლო კურსში - „პირველად და გადაუდებელ დახმარებას“ საწარმოო პრაქტიკისთვის ეთმობა 10 საათი, თუმცა საგნის სილაბუსში არ ჩანს თუ სად, როდის ან რა სახით ჩაუტარდებათ საწარმოო პრაქტიკა პროფესიულ სტუდენტებს.

1.15 ექთნის თანაშემწის მე -3 საფეხურის სასწავლო კურსში - „ჰიგიენა“ საწარმოო პრაქტიკას ეთმობა 50 საათი, თუმცა საგნის სილაბუსში არ ჩანს თუ სად, როდის ან რა სახით ჩაუტარდებათ საწარმოო პრაქტიკა პროფესიულ სტუდენტებს.

1.16 ექთნის თანაშემწის მე-3 საფეხურის სასწავლო კურსში - „ტერმინალური პაციენტის მოვლა“ არ ჩანს საწარმოო პრაქტიკა რა სახით და სად ტარდება, აგრეთვე სილაბუსში არ არის მითითებული მისაღწევი შედეგები.

1.17 ინფორმაციული ტექნოლოგიის პროგრამა მოიცავს 52 კრედიტს (1300 საათს), საიდანაც 60% ეთმობა პრაქტიკას. სასწავლო გეგმით სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას ეთმობა 760 საათი (58%). (შესაბამისად, უნდა იყოს 780 საათი).

1.18 ინფორმაციული ტექნოლოგიების მე -3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგ სილაბუსებში არ არის მითითებული მისაღწევი შედეგები: „ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიორმაკა“; „ქსელები და ინტერნეტი“; „პერსონალური კომპიუტერის ინფორმაციული სისტემები და პროგრამული უზრუნველყოფა“.

1.19 ინფორმაციული ტექნოლოგიების მე -3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში არ ჩანს, თუ როდის ტარდება შუალედური და დასკვნითი გამოცდები.

1.20 ბუღალტრის მე-3 საფეხურის პროფესიულ პროგრამაში არ არის მითითებული თეორიისა და პრაქტიკის წილი. მასში აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ პროგრამა მოიცავს 53 კრედიტს და წლიური დატვირთვა შეადგენს 1325 საათს. სასწავლო გეგმის მიხედვით კი პროფესიული სტუდენტის წლიური დატვირთვა შეადგენს 1375-ს.

1.21 ბუღალტრის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში - „საგადასახადო დაბეგვრა“, „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“, „ეკონომიკური



ანალიზის საფუძვლები“, საკალკულაციო აღრიცხვა“- არ ჩანს თუ სად, როდის ან რა სახით ტარდება საწარმოო პრაქტიკა.

1.22 დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არცერთ საილაბუსში არ არის მოცემული სწავლის ხანგრძლივობა, შესაბამისად, ვერ დგინდება რა პერიოდში ისწავლება კონკრეტული კურსი.

1.23 დაწესებულებამ წარმოადგინა სამგვერდიანი კატალოგი, სადაც მოცემულია მოკლე ინფორმაცია მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების (ზოგადად), კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. პროგრამის მიზნები იდენტურია (მაგალითად: ექთნის თანაშემწის და კბილის ტექნიკოსის). რაც შეეხება სწავლის შედეგებს - ზოგადია. რაიმე სახის ინფორმაცია დაწესებულების შესახებ კატალოგში მითითებული არ არის.

1.24 საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენა პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებთან ვერ მოხერხდა.

1.25 დაწესებულებას შემუშავებული არა აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

## **2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

2.1 ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სასწავლო აუდიტორებში გათბობის სისტემა არ იყო დამონტაჟებული.

2.2 დაწესებულე ბა განთავსებულია შენობა-ნაგებობის მე-3 სართულზე. მხოლოდ შენობის შესასვლელშია დამონტაჟებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის პანდუსი. ექსპერტთა ვიზიტის დროს შენობაში არსებული ლიფტი იყო გაუმართავი და არ მუშაობდა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როდის განხორციელდა ვიზიტი დაწესებულებაში. ავტორიზაციის ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ შპს - „ლაზარე“-ში ვიზიტი განხორციელდა 27 და 28 ოქტომბერს. ექსპერტმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ლიფტი იყო გაუმართავი და არ მუშაობდა. დაწესებულების დირექტორმა არობელიძე ილიამ აღნიშნა, რომ თუ კი პროფესიულ კოლეჯს ეყოლება სპეციალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი, ლიფტს გამართავდნენ და აამუშავებდნენ.

გათბობის სისტემასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს - „ლაზარე“-ს ხელშეკრულება ჰქონდა დადებული გათბობის სისტემის დამონტაჟების შესახებ. კახი ყურაშვილი დაინტერესდა, ავტორიზაციის საბჭოს რომ მიეღო გადაწყვეტილება კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ, შეძლებდა თუ არა შპს - „ლაზარე“ გათბობის სისტემის დამონტაჟებას. დაწესებულების წარმომადგენელმა ჯულიეტა ლაზარიშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფდნენ გათბობის სისტემის დამონტაჟებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში რატომ არ იყო კონკრეტულად მოცემული სწავლის ხანგრძლივობა. ჯულიეტა ლაზარიშვილმა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლების ხანგრძლივობა მოცემული იყო კრედიტ საათების მიხედვით. კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს, იყო თუ არა რომელიმე აქტით დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო რეკვიზიტები. ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგადად პროგრამა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სწავლის ხანგრძლივობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ემთხვეოდა თუ არა პროგრამაში მოცემული კრედიტების საერთო მოცულობა სწავლის ხანგრძლივობას. ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ კრედიტების საერთო რაოდენობა ემთხვეოდა სემესტრის ხანგრძლივობას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, აღნიშნული შენიშვნა იყო არაარსებითი. ავტორიზაციის საბჭოს წევრები აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმნენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა 1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა არობელიძემ ილიამ განმარტა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა სტანდარტით დადგენილ კვალიფიკაციას. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზი.

ექსპერტთა 1.3 და 1.4 შენიშვნებთან დაკავშირებით შპს - „ლაზარე“-ის დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნულ ხარვეზებს იზიარებდა. დამატებით, კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული შენიშვნები უკვე გამოსწორებული იყო. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როდის მოხდა აღნიშნული შენიშვნების გამოსწორება. დაწესებულების წარმომადგენელმა ჯულიეტა ლაზარიშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ხარვეზების გამოსწორება მოხდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ.

კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ითვალისწინებდა თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკისთვის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები საწარმოო/სასწავლო პრაქტიკისთვის მოიცავდა დამოუკიდებელი მუშაობის საათებსაც. კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც პრაქტიკის კომპონენტი მოიცავს პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დამოუკიდებელი მუშაობის საათები გადატანილი ჰქონდათ საწარმოო პრაქტიკის საათებში. შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზიც გამოსწორებული ჰქონდათ. კახი ყურაშვილი დაინტერესდა თუ როდის მოხდა აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხარვეზების გამოსწორება მოხდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ. საბჭოს თავმჯდომარემ შპს - „ლაზარე“-ის წარმომადგენლებს განუმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, თუ დარღვევები არაარსებითი ხასიათისა არაა და თუ ისინი უკვე აღმოფხვრილია..

1.9 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანი - „პრაქტიკები სპეციალობის წინა საგამოცდო პერიოდში“ წარმოადგენდა საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს და შესაბამისად ცალკე სილაბუსი არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ანიჭებდა თუ არა დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს აღნიშნულ საგანში ცალკე კრედიტს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგანში - „პრაქტიკები სპეციალობის წინა საგამოცდო პერიოდში“ პროფესიულ სტუდენტს ენიჭებოდა 3 კრედიტი. კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, საგანი, რომელიც სტუდენტს ანიჭებს ცალკე კრედიტს, უნდა ჩაითვალოს დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინად და მას უნდა ჰქონოდა შესაბამისი სილაბუსი. ავტორიზაციის საბჭოს წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ მოსაზრებას.

1.11 შენიშვნასთან დაკავშირებით კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექთნის თანაშემწის მე-2 და მე-3 საფეხურის პროგრამის მიზენიბი გადმოტანილი ჰქონდათ შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტანდარტიდან. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა

იგულისხმობდა პროგრამის მიზნების იდენტიფიკაციაში. მომხსენებელმა განმარტა, რომ ექთნის თანაშემწის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, მე-2 და მე-3 საფეხურის პროგრამებს აქვთ განსხვავებული მიზნები. შენიშვნა მდგომარეობდა სწორედ იმაში, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ექთნის თანაშემწის მე-2 და მე-3 საფეხურის პროგრამებს ჰქონდათ იდენტური მიზნები. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რას გულისხმობდა ავტორიზაციის ექსპერტი შენიშვნაში, რომლის თანახმადაც ექთნის თანაშემწის მე-2 და მე-3 საფეხურის პროგრამაში არ ისწავლებოდა ასაკობრივი განვითარების თავისებურებები. ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ ექთნის თანაშემწის მე-2 და მე-3 საფეხურის პროფესიული სტანდარტის შედეგების მიხედვით, პროფესიული სტუნდენტი უნდა ფლობდეს ასაკობრივი განვითარების თავისებურებებს. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ექთნის თანაშემწის პროფესიული პროგრამის არცერთ სილაბუსში არ იყო მოცემული თუ რომელი საგნით ან თემით მიიღწევა ასაკობრივი განვითარების თავისებურებების ცოდნის შედეგები. კახი ყურაშვილის მოსაზრებით, აღნიშნული საკითხის განხილვა სცილდებოდა ავტორიზაციის საბჭოს კომპეტენციას. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

კახი ყურაშვილი დაინტერესდა იყო თუ არა მოცემული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად ტარდება საწარმოო პრაქტიკა. ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ შპს - „ლაზარე“-ს საწარმოო პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებით სხვადასხვა დაწესებულებასთან დადებულ ჰქონდა ხელშეკრულებები. თუმცა, კონკრეტული საგნების სილაბუსებში არ იყო მოცემული ინფორმაცია იმის შესახებ თუ სად, როდის, რა ფორმით ან რა სახით ჩატარდება პროფესიულ სტუდენტებს საწარმოო პრაქტიკა. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა ლალი ლოღელიანმა განმარტა, რომ საგნის სილაბუსში აღნიშნული ინფორმაცია აუცილებლად უნდა ყოფილიყო მოცემული. ლალი ლოღელიანის მოსაზრებით, ამ შემთხვევაში, სილაბუსები იყო ხარვეზიანი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იყო თუ არა მოცემული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ინფორმაცია თუ სად, როდის ან რა სახით ჩატარდება პროფესიულ სტუდენტებს საწარმოო პრაქტიკა. აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული ინფორმაცია არც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში იყო მოცემული.

1.18 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ხარვეზიც გამოსწორებული ჰქონდათ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ.

1.19 შენიშვნასთან დაკავშირებით ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე ექსპერტს შეეკითხა, დაწესებულების დირექტორის ერთიანი აქტით ხომ არ ინიშნებოდა შუალედური და დასკვნითი გამოცდები ყველა პროფესიულ პროგრამაზე. ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ ზოგიერთი საგნის სილაბუსში განსაზღვრული იყო, თუ როდის ტარდებოდა შუალედური და დასკვნითი გამოცდები, ზოგიერთ სილაბუსში კი ასეთი ინფორმაცია არ იყო მოცემული. კახი ყურაშვილის მოსაზრებით, მოცემული ხარვეზი იყო არაარსებითი ხასიათის. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს წევრებმაც.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ 20:35 საათზე ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოაცხადა შესვენება.

სხდომა განახლდა 21:00 საათზე.

კახი ყურაშვილის მოსაზრებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ლაზარე +“-ის ავტორიზაციის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 1

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ლაზარე“-ს უარი ეთქვას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭებაზე.

20:34 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 20:50 საათზე.

#### **4. შპს - "თავისუფალი სკოლის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

##### **1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით**

1.1 გაკვეთილების ხანგრძლივობაა 45წთ. შესვენებები: მე-3 გაკვეთილის შ ემდეგ 10 წთ, დანარჩენ შემთხვევაში - 5წთ. ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის, პირველი თავის მესამე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაკვეთილებს შორის მინიმუმ ერთი შესვენების ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს მინიმუმ 15 წუთით. დანარჩენი შესვენებების ხანგრძლივობა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

##### **2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

2.1 ექსპერტთა ვიზიტის დროს "თავისუფალი სკოლის" სასწავლო ფართში მიმდინარეობდა კერძო სკოლა-ლიცეუმ „გორგასალის“ სასწავლო პროცესი.

2.2 სკოლას აქვს ღია სპორტული მოედნები, რომელის კეთილმოწყობასაც სკოლა გეგმავს უახლოეს პერიოდში. სკოლის ეზოში, სპორტული მოედნების ახლოს, მდებარეობს ნახევრად დანგრეული შენობა-ნაგებობები, რომლის რეკონსტრუქციასაც გეგმავს დირექცია სამომავლოდ. სპორტის სახეობებიდან სკოლას არჩეული აქვს ფეხბურთი, ფრენბურთი, ბადმინტონი, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი.

2.3 ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ამონტაჟებდა სველ წერტილს.

2.4 სკოლაში მოწყობის პროცესშია სამედიცინო კაბინეტი, რომელის აღჭურვისათვის საჭირო პირველადი ინვენტარი უკვე შეძენილია და სკოლის დირექტორის განმარტებით უახლოეს პერიოდში იგეგმება ექიმთან ხელშეკრულების გაფორმება.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს - კერძო სკოლა-ლიცეუმი "გორგასალი" სხვა სკოლაა, რომელსაც 2011 წლის 1 იანვრამდე უწევს ავტორიზაცია. სკოლის დირექტორის განცხადებით, დაწესებულების ადმინისტრაციამ გადაწყვეტა დააფუძნოს ახალი სკოლა - "თავისუფალი სკოლა", ხოლო შპს - კერძო სკოლა-ლიცეუმი "გორგასალის" ავტორიზება აღარ მომხდეს.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ "თავისუფალი სკოლა" მიიღებს ავტორიზაციას, ისინი გეგმავენ, მობილობის საფუძველზე, გადმოიყვანონ მოსწავლეები შპს -



კერძო სკოლა-ლიცეუმი "გორგასალიდან". ეს უკანასკნელი, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დეკემბრიდან შეწყვეტს ფუნქციონირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ რომელი სკოლის დოკუმენტაცია იქნა შესწავლილი.

ექსპერტის, რეზო ნინუას, განცხადებით, შესწავლილი იქნა "თავისუფალი სკოლის" დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს 10-წუთიანი შესვენება რომელს სკოლას ჰქონდა.

ექსპერტის განმარტებით, "თავისუფალი სკოლის" განრიგში, მითითებული იყო 15-წუთიანი შესვენება, ხოლო 10-წუთიანი - შპს - კერძო სკოლა-ლიცეუმ "გორგასლის" განრიგში.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით შპს - კერძო სკოლა-ლიცეუმ "გორგასლის" ხარვეზები ამ შემთხვევაში აქტუალური არ უნდა ყოფილიყო, რადგან განიხილებოდა შპს - "თავისუფალის სკოლის" ავტორიზაციის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გააფორმეს თუ არა ხელშეკრულება ექიმთან.

სკოლის დირექტორის განმარტებით, ექიმთან ხელშეკრულების გაფორმებას ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში გეგმავენ, ხოლო პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარი, სკოლას შეძენილი აქვს.

საბჭოს თავმჯდომარეს გაუჩნდა კითხვა, რომ თუ სხვა დაწესებულება ფუნქციონირებს აღნიშნულ ფართში, მაშინ შპს - "თავისუფალ სკოლას" როგორ უნდა მიენიჭოს ავტორიზაცია.

ექსპერტის, ნინო ჟვანიას, განცხადებით, ფართი შპს - "თავისუფალ სკოლაზე" არის გაფორმებული 6 ივნისიდან და დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. ამდენად, ფართის ფლობის პრობლემა სკოლას არ გააჩნდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, როდის გეგმავდა სასწავლო პროცესის დაწყებას.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, სკოლის ფუნქციონირება დაიწყება დეკემბრის თვეში, როდესაც მოზილობის პროცესი დაიწყება.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, განიხილება შპს- "თავისუფალი სკოლის" ავტორიზაციის საკითხი, ამდენად, მისთვის, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს იმ დარღვევებს, რომლებიც შპს - კერძო სკოლა-ლიცეუმ "გორგასლს" აქვს.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შეამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 270-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ნანა ჭილაძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ნანა ჭილაძემ, აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 230 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - "თავისუფალი სკოლის" შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - "თავისუფალი სკოლის" ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 230-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ”თავისუფალი სკოლას“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 230-ით.

## **5. ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლის საათობრივ ბადეში არ არის გაწერილი საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოების საათები.

1.2 დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არცერთ დოკუმენტში არ გვხვდება ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ ეცნობიან მოსწავლეები შეფასების კრიტერიუმებსა და კომპონენტებს.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი არ იყო სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი.

## **2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

2.1 სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან არ მოიძებნა შემდეგი: სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების (IV კლასი), მათემატიკისა (I, IX) და მუსიკის სახელმძღვანელოები (III, VII).

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნაწილი წერეთელმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე სკოლებისთვის საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოების სწავლება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, ჯერ-ჯერობით არ იყო საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური პედაგოგი, რომელიც შეძლებდა აღნიშნული საგნის სწავლებას. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლიათ საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოების სწავლება განახორციელოს მეორე სემესტრიდან, ვინაიდან ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნული საგნის მასწავლებლების გადამზადება.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაიტერესდა, თუ როგორ უხსნიდნენ სკოლაში მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებსა და კომპონენტებს. ნაწილი წერეთელმა აღნიშნა, რომ მასწავლებლები რეგულარულად, ზეპირსიტყვიერად აცნობდნენ მოსწავლეებს სკოლაში არსებულ შეფასების კრიტერიუმებსა და კომპონენტებს. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა განმარტა, რომ შეფასების კრიტერიუმები ასევე მოცემული იყო სასკოლო ჟურნალებში. შესაბამისად, მისი აზრით, აღნიშნული შენიშვნა წინა შენიშვნის მსგავსად არ იყო არსებითი ხასიათის.

კახი ყურაშვილი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით სკოლაში გამოიყენებოდა მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების მექანიზმი. კერძოდ, თითოეული მასწავლებელი ესწრებოდა მეორე მასწავლებლის გაკვეთილებს და აკეთებდა შესაბამის ჩანაწერებს. აღნიშნული ჩანაწერების მიხედვით შემდგომში ხდებოდა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება და გაუმჯობესება.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ბიბლიოთეკაში ყველა გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელო. დაწესებულების წარმომადგენელმა ნაწილობრივად აღნიშნა, რომ ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლურ სკოლას ბიბლიოთეკაში ჰქონდა ყველა გრიფირებული სახელმძღვანელო. აღნიშნულის დასადატურებლად დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს სახელმძღვანელოების შექმნის თაობაზე წარუდგინა სასაქონლო ზედნადებები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 274-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 274 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 274-ით განსაზღვრის საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლურ სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 274-ით.

## **6. შპს - ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, საბჭოს აცნობა, რომ საგზაო მოძრაობის შეფერხების გამო, დაწესებულების წარმომადგენლებმა ვერ მოახერხეს სხდომაზე გამოცხადება. საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა დაწესებულების წარმომადგენელთან სატელეფონო ინტერვიუება, რათა წარმომადგენელს განეცხადებინა თანხმობა მისი დასწრების გარეშე საკითხის განხილვისა და შესაბამისი ინფორმაციის (კერძოდ, წარმომადგენლის პირადი სატელეფონო ნომრის) სხდომის ოქმში ასახვის თაობაზე. ინტერვიუების შედეგად, ავტორიზაციის მაძიებელმა იშუამდგომლა საკითხის გადადების შესახებ. საბჭომ განიხილა შუამდგომლობა და ერთხმად დააკმაყოფილა იგი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

გადადებულ იქნას შპს - ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.



## 7. შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია „იბერიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

### 1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 დაწესებულებას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება (ს ერთო თანხა – 13 800 ლარი) შპს - „ინსტა-ჯორჯიასთან“ (22.09.2011წ.) ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია ანატომიის ლაბორატორიების აღჭურვილობის შეძენასთან დაკავშირებით. წინასწარ გადახდილია თანხის 50% – 6 900 ლარი, სრულად თანხა გადახდილი იქნება ლაბორატორიის მიწოდების შემდგომ. ორგანიზაციამ უკვე აცნობა სკოლას რომ ლაბორატორია ჩამოსულია თბილისში და უახლოეს პერიოდში ჩატანილი იქნება ბათუმში.

1.2 დაწესებულებას დადებული აქვს ხელშეკრულება შპს „ჯესკო ჯგუფთან“ სათვალთვალო კამერების (1 ცალი გარე და 3 ცალი შიდა პერიმეტრზე) შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებით (26.09.2011წ.). ექსპერტთა დასკვნის თანახმად, ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა დაწესებულების მიერ სრულად გადახდილია, ხოლო კამერების დამონტაჟება უნდა მომხდეს 31 ოქტომბრამდე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ორივე შემთხვევასთან დაკავშირებით ხარვეზი გამოსწორებულია და საბჭოს წარუდგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

თავმჯდომარემ სთხოვა ცენტრის წარმომადგენელს, გადაელო ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ასლები და დაერთო ისინი საქმისთვის.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 120 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა მომხსენებელს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი, ნანა ჭილაძე დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 120 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია „იბერიის“ შესაბამისობის საკითხზე და ერთხმად მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია „იბერიის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია „იბერიის“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

## **8. შპს - სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „ალმასის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

### **1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით**

1.1 ცალკეული საგნებისათვის სკოლას შემუშავებული აქვს კლასიდან კლასში გადაყვანის, ან საფეხურის დამღვევისათვის მინიმალური ბარიერი 4.0.

### **2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

2.1 სამეცნიერო -საწარმოო ფირმა "ალმასი" მდებარეობს ქ. თბილისში შემდეგ მისამართზე: ნაძალადევის რაიონი, გლდანის მასივი, II მკ-რ-ნი, №45-ა. შენობის საერთო ფართობია 255,85 კვ.მ. და იგი რეგისტრირებულია ორ სუბიექტზე: შპს - სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „ალმასზე“ (137.6 კვ.მ. ნახევარსარდაფი) და ფიზიკურ სპირ ზურაბ ბიწაძეზე (118.25კვ.მ.), რომელიც 2011 წლის 12 სექტემბერს დამფუძნებელთა საერთო კრების გადაწყვეტილებით დაინიშნა სკოლის დირექტორად.

აღსანიშნავია, რომ ხსენებულ შენობაში (255,85 კვ.მ.) განთავსებულია სულ 6 ოთახი (3 - საკლასო, 1 - კომპიუტერების, 1 - ექიმის, 1 - მანდატურის, 1 - ბიბლიოთეკის ოთახი). საკლასო ოთახების უმრავლესობა განთავსებულია იმავე მისამართზე დაწესებულების მიერ ჩატარებული რეკონსტრუქცია-მიშენების სამუშაოების შედეგად, მიშენებულ ფართზე - 405,17 კვ.მ. შენობის მიშენებული ნაწილი არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

დამფუძნებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ისინი მოლაპარაკებას აწარმოებენ მერიის სამსახურთან ამ ფართის დაკანონების თაობაზე, თუმცა ეს პროცესი დროში იწელება. საქმე იმაშია, რომ სკოლის შენობის მიშენებული ნაწილისათვის პროექტით გათვალისწინებულია მინა-კედელი, თუმცა მის ნაცვლად ჩასმულია ფანჯრები, რაც ეწინააღმდეგება დასაშვებ ნორმებს და რის გამოც ვერ ხერხდება შენობის ჩაბარება.

2.2 ბიბლიოთეკაში განლაგებულია გრიფინიჭებული სახელმძღვანელოები, თუმცა ჩამონათვალი არასრულია.

### **3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით**

3.1 სკოლის მასწავლებელთა კვალიფიკაცია ძირითადად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. გამონაკლისს წარმოადგენს ფიზიკის პედაგოგი, რომელსაც 1998 წელს დამთავრებული აქვს თსუ-ს მაკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი, სპეციალობით - ეკონომიკური ინფორმატიკა და ავტომატიზირებული სისტემები და მინიჭებული აქვს საინფორმაციო სისტემების

მენეჯერის კვალიფიკაცია (მაგისტრი), პედაგოგიური მოღვაწეობა სკოლა აღმასში დაწყებული აქვს 2011 წლიდან, მანამდე პედაგოგიური სტაჟი არ ჰქონია. ასევე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, რომელსაც დამთავრებული აქვს თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, სპეციალობით პრესის ჟურნალისტი და მინიჭებული აქვს ჟურნალისტიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, პედაგოგიური მოღვაწეობა სკოლა აღმასში დაწყებული აქვს 2010 წლიდან, მანამდე პედაგოგიური სტაჟი არ ჰქონია. ა მასთან აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანი სკოლას მიღებული ჰყავს დროებით, ვაკანტურ თანამდებობაზე, ამის შესახებ ჩაწერილია მათი მიღების ბრძანებაში და მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით დაფიქსირებულ შენიშვნაზე, ავტორიზაციის ექსპერტმა, იანინა გიგბერიამ, განმარტა, რომ მოცემული დაფიქსირებული იყო დასკვნაში არა როგორც ხარვეზი, არამედ როგორც ფაქტობრივი გარემოება, ვინაიდან დაწესებულებას შეეძლო ცალკეულ საგნებში განსხვავებული ბარიერის დაწესება.

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მოხსნა 1.1 შენიშვნა. თავმჯდომარემ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საბჭოს შეეძლო ემსჯელა მხოლოდ იმ ფართთან დაკავშირებით, რომლის კანონიერი ფლობაც დაწესებულებას უდასტურდებოდა მოცემული დროისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას გააჩნდა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული მინიმალური ფართი - 255,85 კვ. მ..

თავმჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ საერთო ფართის პარალელურად, საყურადღებო იყო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული საკლასო ოთახების რაოდენობა, კერძოდ, დასკვნის თანახმად ხსენებულ შენობაში (255,85 კვ.მ.) განთავსებულია სულ 6 ოთახი: 1 კომპიუტერული კლასი, 3 საკლასო და 2 დამხმარე ოთახი.

თავმჯდომარემ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შესახებ დაფიქსირებულ შენიშვნასთან მიმართებაში, სთხოვა ექსპერტს დაეხუსტებინა, თუ კონკრეტულად რა წიგნები არ მოიძებნა ბიბლიოთეკაში.

ექსპერტ, იანინა გიგბერიას, განმარტებით, დასკვნაში არ იყო მითითებული წიგნების დეტალური ჩამონათვალი.

თავმჯდომარის განცხადებით, ექსპერტებს უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ასეთ პირობებში საბჭოს არ ჰქონდა შესაძლებლობა, ემსჯელა იმაზე, მოხდა თუ არა დაწესებულების მხრიდან ხარვეზის სრულად გამოსწორება. აქედან გამომდინარე, თავმჯდომარემ სამომავლოდ სთოვა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ დასკვნაში ყველა ის წიგნი, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის დროს ბიბლიოთეკაში არ ფიქსირდებოდა.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა მას წარმოდგენილი ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით ხარვეზის გამოსწორების თაობაზე რაიმე დოკუმენტი, რომლითაც დასტურდებოდა წიგნების შეძენის ფაქტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას ხარვეზი არ ჰქონდა გამოსწორებული და ვერ წარმოადგენდა ვერანაირ დოკუმენტს.

ადამიანური რესურსის ნაწილში დაფიქსირებულ შენიშვნასთან დაკავშირებით, თავმჯდომარემ, მიმართა კითხვით ცენტრის წარმომადგენელს, როგორი იყო ცენტრში დამკვიდრებული პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განმარტა, რომ სტანდარტის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია, დასტურდებოდეს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და გააჩნდეს პირს პედაგოგიური სტაჟი.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ არა სკოლაში სხვა ფიზიკისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლას ჰყავდა ალტერნატიული ფიზიკისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები.

თავმჯდომარემ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, მოხსნა 3.1 შენიშვნა.

21 საათსა და 46 წუთზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 22 საათსა და 03 წუთზე.

თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრება გააცნო ავტორიზაციის მაძიებელს და განაცხადა, რომ პირადად მისთვის, არსებითი მნიშვნელობა გააჩნდა ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ შენიშვნას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „ალმასის“ შესაბამისობის საკითხზე და ერთხმად მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „ალმასის“ ავტორიზაციის საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის , მე -14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „ალმასის“ უარი ეთქვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ მართალია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება შპს - სამეცნიერო საწარმოო ფირმა „ალმასის“ მიმართ იყო უარყოფითი, თუმცა საბჭომ გაითვალისწინა დაწესებულებაში ჩარიცხული მოსწავლეების ინტერესები და მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, შპს - სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „ალმასისათვის“ ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2011 წლის 24 დეკემბრიდან, როდესაც დამთავრდება მიმდინარე სასწავლო სემესტრი.

21:51 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 22:06 საათზე.



## 9. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

### 1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 სკოლა მდებარეობს თბილისში და ფუნქციონირებს ორ მისამართზე: კოსტავას ქუჩა №77<sup>ა</sup> და ალექსიძის ქ. №8 (დაწყებითი კლასებისთვის, სადაც ამჟამად მხოლოდ პირველი კლასი სწავლობს). კოსტავას ქუჩაზე არსებულ შენობასთან დაკავშირებით იჯარის ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, ხოლო სპორტული მოედანისა და ალექსიძის ქუჩაზე მდებარე შენობის თაობაზე იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში წარმოების პროცესშია.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ავტორიზაციის მაძიებლის განცხადებით, დაწესებულებამ გამოასწორა ხარვეზი და უკვე დაარეგისტრირა ფართი საჯარო რეესტრში. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა შესაბამისი ამონაწერები საჯარო რეესტრიდან.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 400 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 400 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლის შესაბამისობის საკითხზე და ერთხმად მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

## 10. შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების დაინტერესებულ მხარეს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაინტერესებულმა მხარემ დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა რევაზ ხოფერიამ. მისი განცხადებით, ექსპერტთა დასკვნა დადებითია. ამასთან ცენტრის მიერ გადამოწმდა ექსპერტთა დასკვნა, შესწავლილ იქნა დაწესებულების თვითშეფასების კითხვარი. შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტიდან გამოთხოვილ იქნა ის პროგრამები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავდა დაწესებულება ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები.

დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადში მითითებული აქვს, რომ მისი სურვილია განახორციელოს 3 საგანმანათლებლო პროგრამა:

I. საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

II. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

III. Healthcare Management ინგლისურენოვანი პროგრამა) - ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

ცენტრის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ზემოაღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებთან და სილაბუსებთან მიმართებით დადგინდა შემდეგი ხარვეზები:

### 1. საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1.1 საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტში ერთი სემესტრის ხანგრძლივობაა 15 სასწავლო და 4 სასესიო კვირა. თუმცა, პრაქტიკის (1,2,3,4,5) სილაბუსების მიხედვით, სასწავლო პროცესი გრძელდება 18 სასწავლო კვირა. დასკვნითი გამოცდა კი ტარდება მე-19 კვირაში.

გარდა იმისა, რომ პრაქტიკის სასწავლო კურსების სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილს, ირღვევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტი. კერძოდ, ბრძანების თანახმად, სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (ტრიმესტრში). დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა. შესაბამისად, თუ დასკვნითი გამოცდა ტარდება მე-19

კვირაში, შეუძლებელი იქნება იმავე სემესტრში დამატებითი გამოცდის ჩატარება ბრძანებით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადის დაცვით.

1.2 საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, სასწავლო კურსი - ინგლისური ენა 1 – მოიცავს 30 საათს ლექციას და 26 საათს პრაქტიკულ მეცადინეობას (სამუშაო ჯგუფს).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსი არ შეესაბამება პროგრამას. კერძოდ, სილაბუსის მიხედვით, ლექციას ეთმობა 46 საათი, ხოლო სემინარს - 12 საათი; ამასთან, სილაბუსის მიხედვით გათვალისწინებულია შუალედური გამოცდისთვის - 2 საათი და ფინალური გამოცდისათვის - 2 საათი. შესაბამისად, საკონტაქტო სამუშაოებისათვის სილაბუსში გაწერილი საათების ჯამი უდრის 62-ს, ნაცვლად 60-ისა. ეს გარემოება ცვლის კრედიტის მისაღებად საჭირო საკონტაქტო საათების რაოდენობას.

1.3 სასწავლო კურსის - ინგლისური ენა 1 (აგრეთვე 2, 3 ) - სილაბუსის მიხედვით, სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ენიჭება თუ ის შუალედური გამოცდების შემდეგ დააგროვებს 10 ქულას. სილაბუსის მიხედვით, დასკვნითი გამოცდა 40 ქულიანია. შესაბამისად, თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე მიიღებს მაქსიმალურ ქულას, ის მაინც ვერ დაძლევს საგანს, ვინაიდან სილაბუსის მიხედვით, საგნის ჩარასაბარებლად საჭიროა 51 ქულის მოპოვება. გარდა ამისა, აღნიშნული ეწინააღმდეგება 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება უნდა მიეცეს სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის თანახმად, ინგლისური ენა 2 - სასწავლო კურსი ითვალისწინებს 15 საათს ლექციას, 37 საათს - სამუშაო ჯგუფს, შუალედური გამოცდისთვის 4 საათი, ხოლო ფინალური გამოცდისათვის - 4 საათი.

სილაბუსის მიხედვით, ლექციას ეთმობა 45 საათი და სემინარს - 11 საათი, შუალედურ გამოცდას - 2 საათი, ხოლო ფინალური გამოცდისათვის გათვალისწინებულია - 2 საათი.

მსგავსი ხარვეზი არის სასწავლო კურსების ინგლისური ენა 3, აგრეთვე ინგლისური ენა 4-ის სილაბუსებში.

1.5 სასწავლო კურსის - ფსიქიატრია და მენტალურ პაციენტთა მოვლა - სილაბუსში აღნიშნულია, რომ კურსის წინაპირობა არის „პარალელურ რეჟიმში ნევროლოგიისა და ნერვულ პაციენტთა შესწავლა“. აღსანიშნავია, რომ შეუძლებელია წინაპირობა იყოს პარალელურად გასავლელი საგანი, რომელსაც დაწესებულება იმავე სემესტრში სთავაზობს სტუდენტს.

მსგავსი ხასიათის ხარვეზი, მაგალითად, ფიქსირდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სასწავლო კურსის სილაბუსში.

1.6 პრაქტიკა 2 სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, კურსზე დაშვების წინაპირობაა შემდეგი საგნების გავლა: „თერაპია“, აგრეთვე „ქირურგიის, პედიატრიისა და მეანობა-გინეკოლოგიის საფუძვლები“. აღნიშნული სასწავლო კურსები არ არის გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის ცნობილი იყო ექსპერტთა დასკვნა, რომლის მიხედვითაც ხარვეზები არ იყო დაფიქსირებული. ცენტრის მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს ისინი არ იცნობდნენ და შესაბამისად, გაუჭირდებოდათ მსგავს რეჟიმში პასუხების გაცემა, მითუმეტეს, რომ დოკუმენტაცია თან არ ჰქონდათ.

რევაზ ხოფერიამ განაცხადა, ცენტრი უზრუნველყოფდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და მის მიერ დამოწმებული დოკუმენტაციის მიწოდებას თითოეული საკითხის განხილვის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა, რომ ცენტრის წარმომადგენლები დახმარებოდნენ საკითხის საფუძვლიან გამოკვლევაში დაწესებულების წარმომადგენლებისათვის სათანადო დოკუმენტაციის მიწოდების გზით.

ცენტრის ორმა თანამშრომელმა, ნინო ფურცხვანიძემ და ნინო ბეგიაშვილმა უზრუნველყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოვლენილ შენიშვნებში ასახული მასალის მიწოდება.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს იყო თუ არა განსაზღვრული ბრძანებით, რამდენი კვირა უნდა იყოს სასესიო და რამდენი სასწავლო.

ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, ბრძანებაში ზემოაღნიშნული დადგენილი არ არის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, შეეძლო თუ არა უნივერსიტეტს 19 კვირა დამოუკიდებლად გაენაწილებინა სასწავლო და სასესიო პერიოდზე, და თუ შეეძლო, რა ირღვევოდა ამ ფაქტით.

რევაზ ხოფერიას განცხადებით, ერთის მხრივ დაირღვა დაწესებულების პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნები. ხოლო, მეორეს მხრივ მსგავსი გადანაწილება დაარღვევდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას, რომლის მიხედვითაც დამატებით გამოცდასა და ძირითად გამოცდას შორის შუალედი არ უნდა იყოს 10 დღეზე ნაკლები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ როგორ ახსნიდა ამ გარემოებას. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელს ნინო ბეგიაშვილმა და ნინო ფურცხვანიძემ მიაწოდეს პრაქტიკა 1,2,3,4 და 5 -ს სილაბუსები. საბჭოს თავმჯდომარემ დაინტერესებულ მხარეს დამატებით განუმარტა შენიშვნის არსი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ეს არის პრაქტიკის სილაბუსები და სტუდენტი რაც უფრო მეტად იქნება დატვირთული, მით უკეთესია.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, მხარის პოზიცია მისაღებია, თუმცა, არსებობს სხვა გარემოებაც, კერძოდ, თუ სტუდენტმა გამოცდა ვერ ჩააბარა, მას აქვს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება, ხოლო შუალედი კი მინიმუმ 10 დღე უნდა იყოს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა იკითხა, იყო თუ არა აუცილებელი სილაბუსში ყოფილიყო რაიმე აღნიშვნა დამატებით გამოცდაზე.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, სილაბუსი პროგრამის ადეკვატური უნდა იყოს და მიიჩნია, რომ მხარეს ამ ხარვეზზე პასუხი არ გააჩნდა.

მხარის წარმომადგენლის განცხადებით, ისინი მინისტრის ბრძანებას არ არღვევენ.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, აუცილებელია 10-დღიანი შუალედი იყოს დაცული. მაგრამ, ვინაიდან ამ შემთხვევაში სასესიო პერიოდი 1 კვირას გრძელდება, თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ აპირებდა დაწესებულება 10 დღიანი ვადის დაცვას 1 კვირის განმავლობაში.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, 19 კვირა სემესტრის ხანგრძლივობის მინიმუმია და განმარტა, რომ ზემოაღნიშნულ ბრძანებაში იგულისხმება ძირითადი სასწავლო პროცესი და პროგრამაც შედგენილი და გაწერილია ძირითად 19 კვირაზე, რომელშიც არ მოიაზრება დამატებითი გამოცდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მხარის არგუმენტაცია ლოგიკურად მიიჩნია;

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, წინა საავტორიზაციო პროცესის დროს, ხარვეზად იქნა მიჩნეული გარემოება, როდესაც დამატებითი გამოცდის პერიოდი ძირითად სასწავლო 19-კვირიან პერიოდში იყო ჩათვლილი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუ ადმინისტრაციულ ორგანოს ნამსჯელი აქვს აღნიშნულზე, ერთსა და იმავე გარემოებებს სხვადასხვაგვარად არ შეაფასებს. ამიტომ საბჭოს თავმჯდომარემ მოითხოვა დაწესებულების წინა ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის გადამოწმება. გადამოწმების საფუძველზე საბჭოს თავმჯდომარემ მოხსნა შენიშვნა.

ინგლისური ენა 1-თან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში 170-მდე სილაბუსია და მსგავსი შეცდომა გაპარული იყო მხოლოდ ერთ საგანში და აღნიშნული იყო ტექნიკური ხარვეზი.

დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით, მან თანამშრომელი გაგზავნა, რათა ცენტრში წარმოადგინოს აღნიშნული სილაბუსი.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ეს შენიშვნა დაფიქსირდა მათ მიერვე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. შესაბამისად, ცენტრში წარმოდგენილი სილაბუსი მისთვის სარწმუნო იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, მხარისათვის მიეწოდებინათ ინგლისური ენის (1,2,3 და 4) სილაბუსები და მოუწოდა მხარეს შენიშვნებზე დეტალურად ეპასუხა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ეწერა თუ არა საგნის სილაბუსის წინაპირობის ნაწილში "პარალელურ რეჟიმში გავლა".

ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მსგავსი ჩანაწერის გამო ის მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საგანს წინაპირობა არ გააჩნდა და ხარვეზი მოხსნა. ამასთანავე, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ გაეთვალისწინებინათ, რომ პარალელურ რეჟიმში სწავლა წინაპირობა არ შეიძლება იყოს.

პრაქტიკის სილაბუსში მითითებულ წინაპირობებთან დაფიქსირებულ ხარვეზთან დაკავშირებით, მხარეს მიეწოდა სილაბუსები, რათა მომხდარიყო მისი პროგრამასთან შედარება.

დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ დრო სილაბუსების პროგრამასთან შესადარებლად. დოკუმენტაციის შემოწმების შემდეგ, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული საგნების სწავლება პროგრამით არის გათვალისწინებული, თუმცა მათ სხვა სახელწოდებები აქვთ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, რომ საბჭოსთვის გაეცნო თუ რომელ საგნებზე მიუთითებდა მხარე.

ცენტრის წარმომადგენლის, ნინო ფურცხვანიძის განცხადებით, სასწავლო კურსის პროგრამით წინაპირობად გათვალისწინებულია საგანი „თერაპია“, რომელიც დაინტერესებული მხარის განმარტებით იგივეა, რაც საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული საგანი „შინაგანი მედიცინა და თერაპიულ პაციენტთა მოვლა“ (N25), „ინფექციური დაავადებები და ინფექციურ პაციენტთა მოვლა“ (N26).

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ავტორიზაციის ეტაპზე ექსპერტი ვერ ივარაუდებს, რომ აღნიშნული საგანი შინაარსობრივად გულისხმობს პროგრამაში მითითებულ საგანს, რადგან ექსპერტი შესაძლებელია არ იყოს დარგის სპეციალისტი. ამდენად, წინაპირობებში უნდა მიეთითოს ზუსტად იმავე სახელწოდების საგანი, რასაც ითვალისწინებს პროგრამა..

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს და დასძინა, რომ რადგან ის ექიმია, ხვდება, რომ ამ შემთხვევაში, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ეს საგნები ემთხვევა ერთმანეთს.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს იყო თუ არა გათვალისწინებული პროგრამაში მეანობა-გინეკოლოგია.

ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, ისწავლება საგანი "ქალის ჯანმრთელობა და ჩვილის მოვლა".

საბჭოს თავმჯდომარის კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ წინაპირობებში უნდა იყოს მითითებული იგივე დასახელების საგნები, რასაც ითვალისწინებს პროგრამა.

ინგლისურ ენასთან დაკავშირებულ საათობრივ გადანაწილებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სილაბუსში საათობრივი გადანაწილება მეტია, ვიდრე პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, მსგავსი შენიშვნა არამარტო ინგლისური ენის სილაბუსში დაფიქსირდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საათობრივი გადანაწილება არ დაუთვლიათ, არ ხდიან სადაოდ და მიაჩნიათ, რომ უბრალოდ ტექნიკური ხარვეზია.

## 2. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა

2.1 ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, სასწავლო კურსის „ინგლისური ენა I“ სწავლებას ეთმობა 30 საათი ლექცია, 24 საათი პრაქტიკული სამუშაო (პრაქტიკუმი). ამასთან, შუალედურ გამოცდას ეთმობა 4 საათი. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამას არ შეესაბამება ზემოაღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსი. კერძოდ, სილაბუსის მიხედვით, ლექციას ეთმობა 46 საათი, ხოლო სემინარს - 12 საათი. ამასთან, შუალედურ გამოცდას ეთმობა 2 საათი. გარდა საგანმანათლებლო პროგრამასთან შეუსაბამობისა, სილაბუსის სასწავლო კურსის ფორმატში აღნიშნული მონაცემები არ შეესაბამება ამავე სილაბუსის სასწავლო კურსის შინაარსში აღნიშნულ მონაცემებს. კერძოდ, თუ სასწავლო კურსის ფორმატის მიხედვით, სწავლებას ეთმობა 46 ლექცია და 12 სემინარი, სასწავლო კურსის შინაარსის მიხედვით, სწავლებას ეთმობა 45 ლექცია და 11 სემინარი.

აღსანიშნავია, რომ სილაბუსის (აგრეთვე ინგლისური 2 სასწავლო კურსის სილაბუსის) მიხედვით, სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ენიჭება თუ ის შუალედური გამოცდების შემდეგ დააგროვებს 10 ქულას. სილაბუსის მიხედვით, დასკვნითი გამოცდა 40 ქულიანია. შესაბამისად, თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე მიიღებს მაქსიმალურ ქულას, ის მაინც ვერ დაძლევს საგანს, ვინაიდან სილაბუსის მიხედვით, საგნის ჩარასაბარებლად საჭიროა 51 ქულის მოპოვება. გარდა ამისა, აღნიშნული ეწინააღმდეგება 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება უნდა მიეცეს სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პარალელურ რეჟიმში მომხდარიყო აღნიშნული სილაბუსების მიწოდება.

2.2 ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, საინფორმაციო ტექნოლოგიების სავალდებულო სასწავლო კურსი მოიცავს 5 კრედიტს. სასწავლო კურსის სწავლებას ეთმობა 15 საათი ლექცია, 24 საათი პრაქტიკული მეცადინეობა, 2 საათი დასკვნითი გამოცდა, 4 საათი შუალედური გამოცდა. დამოუკიდებელ სამუშაოს ეთმობა 80 საათი. სულ სასწავლო კურსისთვის განკუთვნილია 125 საათი. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამას არ შეესაბამება საინფორმაციო ტექნოლოგიების სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსი. კერძოდ, სასწავლო კურსის შინაარსით გათვალისწინებულია 7 საათი ლექცია (ნაცვლად 15-ისა), 11 საათი სემინარი (ნაცვლად 24 საათისა), 2 საათი შუალედური გამოცდა (ნაცვლად 4 საათისა). თუ აღნიშნულს დავუმატებთ, სილაბუსით და პროგრამით გათვალისწინებულ 2 საათს, სასწავლო კურსის სწავლებისთვის განკუთვნილია 24 საკონტაქტო საათი (ნაცვლად 45 საკონტაქტო საათისა) და 80 დამოუკიდებელი სამუშაოს საათი. შესაბამისად, დაწესებულებას 5 კრედიტიანი საგანს ასწავლის 104 საათში (ნაცვლად 125-ისა).

2.3 ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის მიხედვით, ანატომია 2 სასწავლო კურსისთვის განკუთვნილია 15 სალექციო საათი და 24 სასემინარო/პრაქტიკული საათი. აღნიშნულს არ შეესაბამება ამავე საგნის სილაბუსი, რომლის მიხედვითაც 16 საათი ეთმობა ლექციებს, ხოლო 23 საათი პრაქტიკულ მუშაობას.

2.4 ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, საგანი ქირურგია და ქირურგიულ პაციენტთა მოვლა ისწავლება მე-4 სემესტრში. საგანი სავალდებულოა. სასწავლო კურსის გავლის ერთ - ერთი წინაპირობა კი არის შინაგანი მედიცინისა და თერაპიული პაციენტის მოვლის სასწავლო კურსის გავლა, რომელიც ისწავლება მე-6 სემესტრში. გარდა ზემოაღნიშნულისა, ქირურგია და ქირურგიულ პაციენტთა მოვლის სავალდებულო სასწავლო კურსის წინაპირობაა, ავადმყოფის მოვლის არჩევითი სასწავლო

კურსის გავლა. აღსანიშნავია, რომ შეუძლებელია სავალდებულო სასწავლო კურსის გავლის წინაპირობა იყოს არჩევითი სასწავლო კურსის გავლა. შესაბამისად, ავადმყოფის მოვლის სასწავლო კურსის იძენს სავალდებულო სტატუსს.

2.5 ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, მტკიცებითი მედიცინის საფუძვლების სასწავლო კურსი 3 კრედიტიანია. 14 საათი ეთმობა ლექციებს, 12 - პრაქტიკუმს, 2- ფინალურ გამოცდას, 2 - შუალედურ გამოცდას, 45 - დამოუკიდებელ სამუშაოს. ჯამში სასწავლო კურსი მოიცავს 75 საათს. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამას არ შეესაბამება ამავე სასწავლო კურსის სილაბუსი. კერძოდ, სასწავლო კურსის შინაარსის სწავლებისთვის გათვალისწინებულია 7 საათი ლექცია, 9 საათი სასემინარო მუშაობა, 2 საათი ფინალური გამოცდა, 2 საათი შუალედური გამოცდა. ამდენად, საკონტაქტო საათების რაოდენობა არის 20 (ნაცვლად 30ისა), ხოლო დამოუკიდებელი და საბოლოო საათების ჯამი არის 65 საათი. შესაბამისად, დაუშვებელია 65 საათის მოცულობის საგანი ითვალისწინებდეს 3 კრედიტის მინიჭებას. გარდა ზემოაღნიშნულისა, ნიშნდობლივია, რომ სილაბუსის მიხედვით, სტუდენტის ფასდება 100 ქულით. აქედან, 5 ქულა განისაზღვრება დასწრებაში, 15 - აქტიურობაში, 30 - ორ შუალედურ გამოცდაში, 10 რეფერატში (ნარკვევში), 40 - საბოლოო სემესტრულ გამოცდაში. თუმცა, სასწავლო კურსის შინაარსი, რომელიც გაწერილია 15 კვირაზე, მოიცავს 1 შუალედურ შეფასებას (ნაცვლად 2-ისა).

საბჭოს თავმჯდომარემ შუალედური გამოცდის რაოდენობაზე განაცხადა, რომ ტექნიკური ხარვეზია.

2.6 ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, საგანი გერიატრია და გერიატრიული პაციენტის მოვლა ისწავლება მე-5 სემესტრში. საგანი სავალდებულოა. სასწავლო კურსის გავლის ერთ - ერთი წინაპირობა კი არის სასწავლო კურსი შინაგანი მედიცინა და (თერაპიულ პაციენტთა) მოვლა, რომელიც ისწავლება მე-6 სემესტრში. გარდა ზემოაღნიშნულისა, გერიატრია და გერიატრიული პაციენტის მოვლის სავალდებულო სასწავლო კურსის წინაპირობაა, ავადმყოფის მოვლის არჩევითი სასწავლო კურსის გავლა. აღსანიშნავია, რომ შეუძლებელია სავალდებულო სასწავლო კურსის გავლის წინაპირობა იყოს არჩევითი სასწავლო კურსის გავლა. შესაბამისად, ავადმყოფის მოვლის სასწავლო კურსის იძენს სავალდებულო სტატუსს. საგანი გერიატრია და გერიატრიული პაციენტის მოვლა წინაპირობად ითვალისწინებს შემდეგ საგნებს ნერვულ პაციენტთა მოვლა, ფსიქიატრია და მენტალურ პაციენტთა მოვლა. თუმცა, აღნიშნული საგნების სწავლება არ არის გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამით (ისწავლება ფსიქოლოგია, ნევროლოგია).

2.7 ინფექციური დაავადებები და ინფექციურ პაციენტთა მოვლის საგნის გავლის ერთ-ერთი წინაპირობაა ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის შესწავლა. თუმცა, აღნიშნულ სასწავლო კურსს არ ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამა.

2.8 საგანი დამხმარე სამუშაოები რეაბილიტაციაში ერთ-ერთ წინაპირობად ითვალისწინებს შინაგანი სნეულებების საგნის გავლას. თუმცა, აღნიშნული საგანი არ ისწავლება საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.

2.9 ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, საგანი ფიზიოთერაპია და კურორტოლოგია 1 მოიცავს 4 კრედიტს - სულ 100 საათს. აქედან 45 საათი ეთმობა საკონტაქტო მუშაობას, ხოლო 55 დამოუკიდებელ მუშაობას. 45 საკონტაქტო საათიდან 15 ეთმობა ლექციას, 24 პრაქტიკუმს, 2 ფინალურ გამოცდას, 4 გამოცდა შუალედურ გამოცდას. თუმცა, სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, 45 საკონტაქტო საათიდან 15 საათი ეთმობა ლექციას, 26 საათი პრაქტიკას (ნაცვლად 24ისა), 2 - ფინალურ გამოცდას, 2 (ნაცვლად 4ისა) შუალედურ გამოცდას.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ამ შემთხვევაში არ იცვლება კრედიტის მოცულობა, საერთო ჯამი იდენტურია, ამდენად, შესაძლოა, ესეც ტექნიკურ ხარვეზად ჩაითვალოს.

რევაზ ხოფერიას განცხადებით, შემდეგი შენიშვნაც მსგავსი შინაარსისაა.



2.10 ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, საგანი მასაჟის საფუძვლები და მანუალური თერაპია 2 მოიცავს 4 კრედიტს. საათების რაოდენობა არის 100 საათი. აქედან, დამოუკიდებელია 55, ხოლო საკონტაქტო 45. საკონტაქტო საათებიდან 15 საათი ეთმობა ლექციას, ხოლო 24 პრაქტიკულს, 4 საათი შუალედურ გამოცდას, 2 საათი ფინალურს.

საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნული ტექნიკურ შეცდომად მიიჩნია.

ამასთან, პროგრამას არ შეესაბამება სილაბუსი. კერძოდ, სასწავლო კურსის შინაარსის მიხედვით, 8 საათი ეთმობა ლექციებს, 26 - პრაქტიკას, 4 - შუალედური გამოცდას, 2 - ფინალურ გამოცდას.

2.11 ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, პრაქტიკა 1 მოიცავს 2 კრედიტს. აქედან, 50 საათი ეთმობა სრულად პრაქტიკის გავლას. ხოლო უშუალოდ პრაქტიკას ეთმობა 38 საათი, ფინალურ გამოცდას 2, დამოუკიდებელი მუშაობას კი 10 საათი. პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, სულ საათების რაოდენობა არის 54 ნაცვლად 50-ისა.

მსგავსი პრობლემა არის მოცემული პრაქტიკა 2-ის სილაბუსში. საათების ჯამური რაოდენობა ნაცვლად 50-ისა არის 52-ი. ამასთან, პრაქტიკა გრძელდება 20 კვირის განმავლობაში.

2.12 ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის მიხედვით, გათვალისწინებულია სასწავლო კურსის - ფსიქოლოგია (კოდი FMR 1214) - სწავლება. ამავე სასწავლო კურსის სილაბუსის (კოდი FMR 1214) მიხედვით, ისწავლება „ფსიქოლოგიის საფუძვლები“. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პროგრამაში მითითებულია საგანი რადიოლოგიის საფუძვლები, სილაბუსის მიხედვით საგნის დასახელებაა სამედიცინო რადიოლოგია.

პროგრამაში მითითებულია საგანი კარდიოვასკულარური რეაბილიტაცია, სილაბუსის მიხედვით საგნის დასახელებაა - კარდიოვასკულურ ავადმყოფთა რეაბილიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნული ტექნიკურ ხარვეზად მიიჩნია და მხარეს მიმართა, რომ მსგავსი ტექნიკური ხარვეზის რაოდენობა ძალიან ბევრია იმ დაწესებულებისათვის, რომელიც პირველად არ გადის საავტორიზაციო პროცედურას.

2.13 ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგია და ბიოქიმია 1-ის ერთ ერთი წინაპირობა არის ბიოქიმია. პროგრამის მიხედვით, ისწავლება საგანი სამედიცინო ბიოქიმია.

2.14 ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, სასწავლო კურსი მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია ითვალისწინებს 15 საათს ლექციას, 24 საათს პრაქტიკულს.

სილაბუსის სასწავლო კურსის ფორმატში მითითებულია, რომ კურსის სწავლებისთვის გათვალისწინებულია 15 საათი ლექცია, 24 საათი პრაქტიკული სამუშაო. თუმცა, სილაბუსის შინაარსი ითვალისწინებს 14 საათს ლექციას (ნაცვლად 15ისა), 25 საათს პრაქტიკულს.

2.15 ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, ინგლისურ ენა 4-ის სწავლებისთვის გათვალისწინებულია 30 საათი ლექცია, ხოლო 24 საათი სასემინარო. თუმცა, სილაბუსი არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას. სილაბუსი ითვალისწინებს 44 საათს ლექციას, 12 საათს სასემინარო სამუშაოს.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ზემოაღნიშნული ტექნიკური ტიპის ხარვეზები შესაძლოა ერთ ხარვეზად გაერთიანდეს, თუმცა სხვა ზემოაღნიშნულ არსებით ხარვეზებთან ერთად გვადლევს იმ მოცემულობას, რომ პროგრამა ხარვეზიანია და არ შეესაბამება სტანდარტს. მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ მხოლოდ სილაბუსი ვერ იქნება ხარვეზიანი. თუკი სილაბუსში მოცემული საათობრივი განაწილება ჯამში იძლევა სხვა ციფრს, მაშინ რთულია ტექნიკურად ჩათვალოს შეცდომა, ხოლო თუ სილაბუსში საგანს არ ჰქვია ის სახელი, რაც პროგრამაშია

მოცემული, არა აქვს მნიშვნელობა შინაარსობრივად მსგავსია თუ არა, სტუდენტისათვის უკვე დამაბნეველია.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ინგლისური ენის სილაბუსშია გაპარული შეცდომა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, შეცდომა არამარტო ინგლისური ენის სილაბუსშია გაპარული და განაცხადა, რომ ყველაზე დიდ ხარვეზად მიაჩნია, რომ სტუდენტი სათანადო კრედიტს ვერ აღწევს და განმარტა, რომ 104 საათში 5 კრედიტს მინიჭება შეუძლებელია.

საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვებით მიმართა მხარეს, რომ როდესაც საგანი მე-6 სემესტრში ისწავლება, ის, როგორ უნდა იყოს მე-4 სემესტრში სასწავლო საგნის წინაპირობა. თუ არჩევითი საგანი არის სავალდებულო კურსის წინაპირობა, მაშინ არჩევითი საგნის ფუნქცია და ხასიათი იკარგება.

საბჭოს წევრმა, ანა კლდიაშვილმა, განაცხადა, რომ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პროგრამა ერთი პირის მიერ იყო დაწერილი, ხოლო ლექტორები აღნიშნულ პროგრას არ იცნობენ.

პრაქტიკის სილაბუსთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძნელი იყო დათვლა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა მხარის წარმომადგენელს აელო პროგრამა და ენახა, თუ რომელ სემესტრში ისწავლება საგანი "ქირურგია და ქირურგიულ პაციენტთა მოვლა".

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს საგანი ისწავლება მე-4 სემესტრში. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა მხარეს ენახა ამ საგნის წინაპირობა და რომელ სემესტრში ისწავლებოდა იგი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინაპირობა ისწავლება მე-6 სემესტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მხარეს, თუ როგორ უნდა ესწავლა სტუდენტს მე-4 სემესტრში მე-6 სემესტრის საგანი და განაცხადა, რომ მხოლოდ ეს შენიშვნაც კი არის ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძველი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მათ სტუდენტები არ ჰყავთ და ამ ხარვეზებს გამოასწორებენ.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ეს არ იყო პირველი საავტორიზაციო განაცხადი, შემოტანილი მათ მიერ. პროგრამა მსგავსი ხარვეზებით არ უნდა იყოს. მან, აგრეთვე, განმარტა, რომ სილაბუსები პროგრამის შემადგენელი ნაწილია და ერთიანობაში პროგრამა ხარვეზიანია. აქვე, აღნიშნა, რომ ინგლისურენოვანი პროგრამაშიც უამრავი ხარვეზი იყო დაფიქსირებული.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, ინგლისურენოვანი პროგრამის სამუშაო ვერსია იყო წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ სად შეიძლებოდა სრული ვერსიის ნახვა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სრული ვერსია ექსპერტებმა ნახეს ვიზიტის დროს.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭო არ არის შებოჭილი არც ექსპერტთა დასკვნით და არც ცენტრის პოზიციით. მან, აგრეთვე, დაამატა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა ხარვეზიანია და ეს ხარვეზები არ არის ტექნიკური. პროგრამები რეალიზებადი არ არის.

დაწესებულების წარმომადგენლის გაცხადებით, ავტორიზაციის ბევრი სტანდარტი იქნა დაკმაყოფილებული.

ამასთან, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაანგარიშებებში იყო შეცდომები დაშვებული, რასაც თავმჯდომარე არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ უამრავი სხვა ტიპის ხარვეზებიც იყო დაფიქსირებული.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, პროგრამები ხარვეზიანია. დეტალურად იქნა გავლილი ყველა შენიშვნა და რაც მოსახსნელად მიიჩნია საბჭომ, მოხსნა. ზოგიერთი მათგანი პირდაპირ ტექნიკური ხასიათის შენიშვნად ჩაითვალა. აგრეთვემ დასძინა, რომ ამ პირობებში

ავტორიზაციის მინიჭება შეუძლებლად მიაჩნია. სხვა არჩევანი საბჭოს არ აქვს, რადგან კანონმდებლობა ხისტია და მხოლოდ 3 ალტერნატივას აძლევს გადაწყვეტილების მიღებისას. საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებულია. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0


წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56<sup>4</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ევროპულ საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შედეგად სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:41 საათზე.

კახი ყურაშვილი  
თავმჯდომარე



ანა კლდიაშვილი  
მდივანი

